საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

KA011862209284015

საქართველო, თბილისი, სანაპიროს ნომერი 2. ცხელი ხაზი: 40 40 20, ელ. ფოსტა:info@psda.gov.ge, ვებ–გვერდი: www.psda.gov.ge 9263

20 / იანვარი / 2015 წ. **N 74/11190**

მოქ. მამია ჯანაშიას
მცხ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N71, B
ბლოკი, ბ N42
ტელ.: 577080609

მოქ. ნაული ჯანაშიას სახელზე 16/11/1999წ. გაიცა საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა პირადი ნომრით 62001016722, მონაცემებით - ნაული იოსების ძე ჯანაშია დაბ. 01/11/1948წ. გეგეჭკორის რ-ში (ამჟამად მარტვილის რ-ნი), პირადობის მოწმობის გაცემის საფუძველს განცხადება-ანკეტის (ფ. N1) მიხედვით წარმოადგენს სსრკ პასპორტი III-დტ N501705 გაც. 21/03/1991წ. სოხუმის შსს მიერ.

საქართველოს პრეზიდენტის 27/06/2008წ. N323 ბრძანებულების თანახმად რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს ნაული ჯანაშიას დაბ. 01/11/1948წ. მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა.

ვინაიდან სამოქალაქო აქტების ცენტრალურ არქივში არსებული ნაული ჯანაშიას დაბადების აქტის ჩანაწერის მიხედვით მოქალაქის დაბადების თარიღია 01/03/1947წ. და არა 01/11/1948წ., ნაული ჯანაშიას სახელზე 28/07/2009წ. სრს აფხაზეთის სამსახურის მიერ გაიცა საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა პირადი ნომრით 62001016722, მონაცემებით - ნაული იოსების ძე ჯანაშია დაბ. 01/03/1947წ. მარტვილის რ-ში (ყოფილი გეგეჭკორის რ-ნი).

დამატებით გაცნობებთ, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 27 ივლისის N98 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და რეგისტრაციიდან მოხსნის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობის, პასპორტის, სამგზავრო პასპორტისა და სამგზავრო დოკუმენტის გაცემის წესი"-ს მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით „პირის მიერ წარდგენილ დოკუმენტებსა ან/და სააგენტოს მონაცემთა ბაზაში არსებულ მონაცემებს შორის სახელის ან/და გვარის, ასევე დაბადების თარიღის ან/და ადგილის შეუსაბამობისას, ნამდვილად მიიჩნევა დაბადების აქტის ჩანაწერში დაფიქსირებული შესაბამისი მონაცემი; იმ პირის შესახებ, რომლის დაბადებაც რეგისტრირებულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, ცხინვალის რეგიონის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის) ტერიტორიაზე ან საზღვარგარეთ–მის დაბადების მოწმობაში მითითებული მონაცემები, ხოლო მეუღლის გვარის მიღების ან საკუთარ გვართან მეუღლის გვარის შეერთების, ასევე ქორწინებამდელი გვარის დაბრუნების შემთხვევაში, გვართან დაკავშირებულ ნამდვილ მონაცემად მიიჩნევა ქორწინების /განქორწინების აქტის ჩანაწერში მითითებული მონაცემი.

პატივისცემით,